

შპს კორიდა

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული და ამ
თარიღით დამთავრებული წლისათვის და მასზე გაცემული
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	10
3. ძირითადი საშუალებები.....	26
4. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები.....	27
5. არამატერიალური აქტივები.....	28
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	28
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	28
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	29
9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	29
10. სესხები.....	30
11. ამონაგები.....	31
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	32
13. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები.....	32
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	32
15. ფინანსური ხარჯი.....	33
16. სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო).....	33
17. ფინანსური რისკების მართვა.....	33
18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	37
19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით.....	37
20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	38
21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები.....	39
22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები.....	39
მმართველობითი ანგარიში.....	41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

შპს “კორიდას” დამფუძნებლებს:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “კორიდას”-ს (შემდგომში ტექსტში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან. (ფინანსური ანგარიშგება მოცემულია აუდიტის დასკვნის შემდეგ 6-39 გვერდზე).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2023 წლის 15 აგვისტოთი დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 39 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე, გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში ტექსტში კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2023 წლის 15 აგვისტოთი დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულიაა წინამდებარე აუდიტის დასვენასა და ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად 39 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2023 წლის 15 აგვისტო

თბილისი, საქართველო

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები


საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში ტექსტში კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2023 წლის 15 აგვისტოთი დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა და ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად 39 გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2023 წლის 15 აგვისტო
თბილისი, საქართველო



შპს "კორიდა"

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	10,546	8,529
აქტივების გამოყენების უფლება	4	327	117
არამატერიალური აქტივები	5	86	87
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		5	1,219
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,964	9,952
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	3,949	2,965
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	6,955	4,634
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	1,085	294
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,989	7,893
სულ აქტივები		22,953	17,845
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,800	2,800
გადაფასების რეზერვი		1,367	1,812
აკუმულირებული მოგება		10,422	5,075
სულ საკუთარი კაპიტალი		14,589	9,687
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,493	3,076
იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	4	254	95
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,747	3,171
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	3,061	1,740
მოკლევადიანი სესხები	10	2,477	3,215
იჯარის ვალდებულება (მიმდინარე ნაწილი)	4	79	32
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,617	4,987
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		22,953	17,845

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი:
რევაზ ნარმანია

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე

შპს "კორიდა"

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	10,546	8,529
აქტივების გამოყენების უფლება	4	327	117
არამატერიალური აქტივები	5	86	87
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		5	1,219
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,964	9,952
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	3,949	2,965
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	6,955	4,634
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	1,085	294
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,989	7,893
სულ აქტივები		22,953	17,845
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,800	2,800
გადაფასების რეზერვი		1,367	1,812
აკუმულირებული მოგება		10,422	5,075
სულ საკუთარი კაპიტალი		14,589	9,687
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,493	3,076
იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	4	254	95
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,747	3,171
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	9	3,061	1,740
მოკლევადიანი სესხები	10	2,477	3,215
იჯარის ვალდებულება (მიმდინარე ნაწილი)	4	79	32
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5,617	4,987
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		22,953	17,845

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი:
რევაზ ნარმანია



აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე



შპს“კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	11	64,749	55,885
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(49,963)	(44,901)
საერთო მოგება		14,786	10,984
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	13	(5,145)	(4,407)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(2,715)	(2,687)
ფინანსური ხარჯი (საკურსო სხვაობის ეფექტის გარდა)	15	(573)	(577)
მოგება საკურსო სხვაობიდან		713	470
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	16	(88)	470
მიმდინარე წლის მოგება		6,978	4,253
სხვა სრული შემოსავლი/ზარალი			
<i>ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში</i>			
ძირითადი საშუალების გადაფასება		(445)	359
სულ სხვა სრული შემოსავლი/(ზარალი)		(445)	359
წლის სრული შემოსავლი		6,533	4,612

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი:
რევაზ ნარმანია

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე

შპს "კორიდა"

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება


	შენიშვნა	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
ამონაგები	11	64,749	55,885
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(49,963)	(44,901)
საერთო მოგება		14,786	10,984
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	13	(5,145)	(4,407)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(2,715)	(2,687)
ფინანსური ხარჯი (საკუროსო სხვაობის ეფექტის გარდა)	15	(573)	(577)
მოგება საკუროსო სხვაობიდან		713	470
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	16	(88)	470
მიმდინარე წლის მოგება		6,978	4,253
სხვა სრული შემოსავლი/ზარალი			
<i>ფინანსური ელემენტები რომლებიც არ შეიძლება რომ შემდგომში რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში</i>			
ძირითადი საშუალების გადაფასება		(445)	359
სულ სხვა სრული შემოსავლი/(ზარალი)		(445)	359
წლის სრული შემოსავლი		6,533	4,612

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი:
რევაზ ნარმანია




აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	6,978	4,253
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	892	1,249
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	29	24
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	(40)	(42)
კოვიდი და სხვა სუბსიდი	-	(530)
ფინანსური ხარჯი	573	577
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(713)	(470)
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	7,719	5,061
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(2,350)	(1,732)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(984)	(122)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	712	910
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	5,097	4,117
გადახდილი პროცენტი	(566)	(569)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4,531	3,548
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,531)	(2,344)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	97	110
არამატერიალური აქტივების შეძენა	(14)	-
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1,448)	(2,234)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	27,306	29,655
სესხებზე გადახდილი ფული	(27,921)	(29,078)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული	(40)	(29)
გადახდილი დივიდენდები	(1,631)	(2,355)
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	-	650
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,286)	(1,157)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა	797	157
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(6)	(7)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	294	144
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	1,085	294

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი:
რევაზ ნარმანია

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022 წელი	2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	6,978	4,253
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	892	1,249
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	29	24
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება	(40)	(42)
კოვიდი და სხვა სუბსიდია	-	(530)
ფინანსური ხარჯი	573	577
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(713)	(470)
საოპერაციო შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	7,719	5,061
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(2,350)	(1,732)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(984)	(122)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	712	910
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრები	5,097	4,117
გადახდილი პროცენტი	(566)	(569)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	4,531	3,548
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,531)	(2,344)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	97	110
არამატერიალური აქტივების შეძენა	(14)	-
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	(1,448)	(2,234)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	27,306	29,655
სესხებზე გადახდილი ფული	(27,921)	(29,078)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული	(40)	(29)
გადახდილი დივიდენდები	(1,631)	(2,355)
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	-	650
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(2,286)	(1,157)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ზრდა	797	157
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(6)	(7)
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	294	144
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	1,085	294

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი: ,
რევაზ ნარმანია

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე

შპს “კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	2,150	1,453	3,177	6,780
2021 წლის მოგება	-	-	4,253	4,253
სხვა სრული შემოსავალი	-	359	-	359
კაპიტალის კონტრიბუცია	650	-	-	650
განაწილებული დივიდენდი	-	-	(2,355)	(2,355)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	2,800	1,812	5,075	9,687
2022 წლის მოგება	-	-	6,978	6,978
სხვა სრული ზარალი	-	(445)	-	(445)
განაწილებული დივიდენდი	-	-	(1,631)	(1,631)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,800	1,367	10,422	14,589

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი:
რევაზ ნარმანია

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე

შპს "კორიდა"


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება


	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	2,150	1,453	3,177	6,780
2021 წლის მოგება	-	-	4,253	4,253
სხვა სრული შემოსავალი	-	359	-	359
კაპიტალის კონტრიბუცია	650	-	-	650
განაწილებული დივიდენდი	-	-	(2,355)	(2,355)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	2,800	1,812	5,075	9,687
2022 წლის მოგება	-	-	6,978	6,978
სხვა სრული ზარალი	-	(445)	-	(445)
განაწილებული დივიდენდი	-	-	(1,631)	(1,631)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,800	1,367	10,422	14,589

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2023 წლის 15 აგვისტოს.

აღმასრულებელი დირექტორი:
რევაზ ნარმანი



აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე:
გიორგი თოხაძე



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს კორიდა (შემდგომში “კომპანია” - ყოფილი შპს ნიკორა 7) დაარსდა 2006 წელს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. დაარსების დღიდან კომპანია აწარმოებს ხორცპროდუქტებს და ეწევა მათ დისტრიბუციას. კომპანია ადგილობრივ ბაზარზე ყიდის საკუთარ წარმოებულ და სხვა პროდუქციას.

კომპანიის მთავარი რეგისტრაციის ადგილია საქართველო, ქალაქი ფოთი, მე-7 კილომეტრი. საქართველოში წარმოდგენილი და რეგისტრირებული კომპანია სს ნიკორა არის შპს კორიდას დედა კომპანია და 100%-ის მფლობელი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად, ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ, თუ საწინააღმდეგო არ იქნება მითითებული.

2.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2.2.1 2022 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16. თავდაპირველი შესწორება ითვალისწინებდა შედგავთის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეეძლოთ აესახათ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე;
- საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენდა 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე, თუ არ იყო არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

2021 წლის მარტში საბჭომ გამოუშვა ცვლილება ფასს 16, რომლის მიხედვითაც ზემოთ განსაზღვრული თარიღი გაგრძელდა და შეიცვალა 2022 წლის 30 ივნისამდე. კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამბიძებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვებიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის.

შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამდიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ელიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემდგომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმდებარებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

2.2.2 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

კომპანიამ ვადადმდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში. აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. ‘დაფარვა’ განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით. კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება, თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში. **ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი

წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული კომპანიის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ზუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ) ჯერ არ განსაზღვრულა). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება.

შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შერავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

2.3 წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (“ქართული ლარი”).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

2.4 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ამონაგები და შემოსულობები

მზა პროდუქციის ან გაყიდვის მიზნით შესყიდული საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებებს, ე.ი. მაშინ, როდესაც კონტრაქტი საქონელზე გადაეცემა კლიენტს, როგორც წესი, საქონლის მიწოდების მომენტში. მზა პროდუქციის ან გაყიდვის მიზნით შესყიდული საქონლის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება. შემოსავალი აღიარდება დასრულებული საქონლის გაყიდვასთან კავშირში, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი ასახავს კლიენტისთვის გადასახდელი ანაზღაურების კორექტირებებს (ფულადი სახსრები, რომელსაც კომპანია უხდის კლიენტს, ან რომელთა კლიენტისთვის გადახდა მოსალოდნელია) და საქონლის მოცულობის გათვალისწინებით განსაზღვრულ ფასდათმობებს. თუ კონკრეტული ხელშეკრულებები კლიენტებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას, კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს იყენებს დასაბრუნებელი საქონლის შესაფასებლად, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ახდენს კომპანიის მიერ მისაღები ცვლადი საზღაურის პროგნოზირებას.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივი - წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილ საფასურზე. თუ კომპანია კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან უპირობოდ მიიღება საზღაურის თანხა (ე.ი. მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან გადახდა მიიღება ან გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება) კომპანიის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებები შემოსავლად აღიარდება, როდესაც ჯგუფი შეასრულებს მათ ხელშეკრულების საფუძველზე (ე.ი. კლიენტს გადასცემს კონტროლს შესაბამისი საქონელზე ან მომსახურებებზე).

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდიანების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

2.5 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე, ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთასა და ამორტიზაციას, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვების გაუქმების მიზნით.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ

პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.7 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები;
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.8 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით, ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო ანგარიშებს მოთხოვნამდე.

2.9 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე- 2.27 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-7 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი

ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს - აღიარებს გაუფასურების ზარალის რეზერვს ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ვადის სრული პერიოდისათვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ, შეიძლება, ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია, სავარაუდოდ, სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.10 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.11 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები და სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.13 ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში.

2.14 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის ან ურთიერთჩათვლის იურიდიული უფლება.

2.15 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების

რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შეყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	40
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	2-15
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	1-10
სატრანსპორტო საშუალებები	2-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	4-5

2.16 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 2-6 წლის გაანგარიშებით.

2.17 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება. მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება ფასდება მასალების, მუშახელისა და სხვა პირდაპირი დანახარჯებით, ხოლო საწარმოო ზედნადების ხარჯების წილი კაპიტალიზირდება ჩვეულებრივი ნორმატიული საწარმოო სიმძლავრის შესაბამისად გაანგარიშებული დანარიცხის თანხის მიხედვით.

2.18 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, შესაბამისად.

2.20 ნასესხები საშუალებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტივების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი ვადის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია - სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების, - რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას, ან წარმოებას, და რაც აღიარებულია რეალური ღირებულებით და რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის (განსაკუთრებული აქტივები) საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი, - კაპიტალიზაცია ხდება, როგორც ამ აქტივების ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა დანახარჯი კაპიტალიზირდება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ თარიღამდე, როდესაც აქტივები არსებითად მზად არის გამოსაყენებლად ან გასაყიდად.

კომპანია ახდენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, თუ კომპანია არ გასწევდა კაპიტალურ დანახარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გაიანგარიშება კომპანიის საშუალო დაფინანსების ღირებულებით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი ვრცელდება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ხდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების, შემცირებული ამ სესხით სარგებლობის დროებით ინვესტირებაზე გაწეული საინვესტიციო შემოსავლით.

2.21 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალებადობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალებადობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვლებად პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების შეფასების პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების პერიოდი მოიცავს 1-5 წელს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალიში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტის დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

2.22 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.23 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახება მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც, ასევე, აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის

შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის, კომპანიას, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ანუღირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

2.24 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.25 ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.26 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.27 მნიშვნელოვანი საღირსეზო შეფასებები და საღირსეზო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას საღირსეზო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად, მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილ მომსახურების ვადას აფასებს მოცემული

აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შპს “კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა საოფისე აღჭურვილო- ბები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანს- პორტო საშუალე- ბები	დაუმთავრ ებელი წარმოება	სხვა	სულ
გადაფასებული ღირებულება									
01.01.2021	276	2,702	9,233	1,363	11	1,577	23	232	15,417
შემენა	50	8	283	298	-	538	-	-	1,177
გასვლა	-	-	(44)	-	-	(253)	-	-	(297)
შიდა მოძრაობა და რეკლასიფიკაცია	-	200	254	(199)	-	-	(23)	(232)	-
გადაფასების ეფექტი	358	(69)	-	-	-	-	-	-	289
31.12.2021	684	2,841	9,726	1,462	11	1,862	-	-	16,586
შემენა	-	210	2,600	185	74	292	-	-	3,361
გასვლა	-	-	(89)	(34)	(3)	(88)	-	-	(214)
გადაფასების ეფექტი	(8)	(510)	-	-	-	-	-	-	(518)
31.12.2022	676	2,541	12,237	1,613	82	2,066	-	-	19,215
ცვეთა:									
01.01.2021	-	-	(5,364)	(889)	(8)	(808)	-	(153)	(7,222)
პერიოდის ცვეთა	-	(70)	(685)	(181)	(1)	(198)	-	-	(1,135)
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	29	5	-	196	-	-	230
რეკლასიფიკაცია	-	-	(153)	-	-	-	-	153	-
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	70	-	-	-	-	-	-	70
31.12.2021	-	-	(6,173)	(1,065)	(9)	(810)	-	-	(8,057)
პერიოდის ცვეთა	-	(73)	(489)	(95)	(2)	(176)	-	-	(835)
გასულის პერიოდის ცვეთა	-	-	64	26	3	57	-	-	150
გადაფასების შედეგად კორექტირება	-	73	-	-	-	-	-	-	73
31.12.2022	-	-	(6,598)	(1,134)	(8)	(929)	-	-	(8,669)
წმინდა საბალანსო ღირებულება:									
01.01.2021	276	2,702	3,869	474	3	769	23	79	8,195
31.12.2021	684	2,841	3,553	397	2	1,052	-	-	8,529
31.12.2022	676	2,541	5,639	479	74	1,137	-	-	10,546

კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება გამოყენებულია კომპანიისა და სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ ჯგუფში შემავალი კომპანიების ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 10 და შენიშვნა 21).

რეალური ღირებულებით შეფასებული ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ჯგუფი მიწები და შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შენობებს და მიწებს ჯგუფი იყენებს საოპერაციო საქმიანობისთვის.

ხელმძღვანელობის შეფასებით 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შენობებისა და მიწების მასშტაბის და სხვა მახასიათებლების გამო არ არის სპეციფიკური და საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არსებობს აქტიური ბაზარი, შესაბამისად რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. მიწების შეფასების შემთხვევაში გამოყენებული იყო საბაზრო ოპერაციები. რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 2 დონე ფასს 13 - სამართლიანი ღირებულების შეფასება .

გადაფასების ნამეტი/ჩამოფასება აღიარებულია გადაფასების რეზერვის მუხლში. მიწა და შენობები წარმოდგენილი რომ ყოფილიყო ისტორიული ღირებულებით, მათი საბალანსო ღირებულება ანგარიშების თარიღისთვის იქნებოდა 1,993 ათასი ლარი, ხოლო 2021 წლისთვის 1,783 ათასი ლარი. ცვეთის დარიცხული ხარჯი განაწილებულ იქნა რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას (შენიშვნა 12) და ადმინისტრაციულ ხარჯებში (შენიშვნა 14).

4. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ცხრილი გვიჩვენებს აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობას.

	2022	2021
1 იანვარი	117	152
შემოსვლა	252	-
ცვეთა	(42)	(35)
31 დეკემბერი	327	117

ცხრილი გვიჩვენებს საიჯარო ვალდებულების მოძრაობას.

	2022	2021
1 იანვარი	127	156
შემოსვლა	252	-
საპროცენტო ხარჯი	15	16
გადახდა	(55)	(45)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(6)	-
31 დეკემბერი	333	127

იჯარით აღებული აქტივი მოიცავს არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე სრულად განთავსებული სასაწყობო შენობა-ნაგებობა 3 - 5 წლამდე იჯარის უფლებით.

ცვეთის ხარჯის დარიცხვა მოხდა ადმინისტრაციულ ხარჯებში (შენიშვნა 14).

იჯარის ხელშეკრულებები არ გულისხმობს რაიმე სახის პირობებს (კოვენანტებს) საკუთრების უფლებების დაცვის გარდა საიჯარო აქტივებში, რომელსაც ფლობს მეიჯარე. საიჯარო აქტივები არ შეიძლება, გამოყენებული იქნას უზრუნველყოფად სესხებზე.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის ხარჯმა შეადგინა 62 და 63, 2022 და 2021 წლებისათვის, შესაბამისად.

შპს “კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. არამატერიალური აქტივები

	კომპიუტერული პროგრამები	უფლებები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	138	166	304
შეძენა	1	-	1
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	139	166	305
შეძენა	14	-	14
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	153	166	319
ამორტიზაცია:			
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	84	55	139
პერიოდის ამორტიზაცია	30	49	79
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	114	104	218
პერიოდის ამორტიზაცია	6	9	15
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	120	113	233
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	54	111	165
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25	62	87
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33	53	86

2022 და 2021 წლების განმავლობაში, ამორტიზაციის ხარჯები აისახა ადმინისტრაციულ ხარჯებში (იხ. შენიშვნა 14).

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
საქონელი	537	208
მზა პროდუქცია	164	117
დაუმთავრებელი წარმოება	38	25
ნედლეული და სხვა მარაგები	3,210	2,615
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	3,949	2,965

კომპანიის მფლობელობაში არსებული მთლიანი მარაგები გამოყენებულია კომპანიისა და სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ ჯგუფში შემავალი კომპანიების ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 10 და შენიშვნა 21).

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სავაჭრო მოთხოვნები	6,861	4,547
საექვო ვალების რეზერვი	(50)	(34)
სხვა ავანსები	107	91
საექვო ვალების რეზერვი (ავანსები)	(13)	(24)
სხვა მოთხოვნები	50	54
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	6,955	4,634

შპს “კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა:

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
1 იანვრის მდგომარეობით	(34)	(34)
გადაანგარიშება წლის ბოლოს	(16)	-
31 დეკემბრის მიხედვით	(50)	(34)

საექვო ვალების რეზერვი (ავანსები) მოძრაობა:

	2022 წლისათვის	2021 წლისათვის
1 იანვრის მდგომარეობით	(24)	-
გადაანგარიშება წლის ბოლოს	(13)	(24)
რეზერვის გამოყენება	24	-
31 დეკემბრის მიხედვით	(13)	(24)

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. მოთხოვნების დაფარვის ვადა შეადგენს 30-90 დღეს (2020: 30-90 დღე). სავაჭრო მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, არსებული და სამომავლო, გამოყენებულია კომპანიისა და სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ ჯგუფში შემავალი კომპანიების ბანკის სესხების უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 10 და შენიშვნა 21).

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ნაღდი ფული	36	4
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,049	290
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,085	294

9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,870	1,410
გადასახდელი ხელფასები	281	143
საგადასახადო ვალდებულებები	290	171
მიღებული ავანსები	5	10
ძირითადი საშუალებების შეძენის ფარგლებში მომწოდებელთან დავალიანება	615	6
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	3,061	1,740

10. სესხები

	31.12.2022	31.12.2021
საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით ევროში	2,352	3,076
საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით ლარში	140	-
არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან ფიქსირებული პროცენტით ლარში	1,360	-
სულ გრძელვადიანი სესხები	3,852	3,076
საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით ევროში	807	961
საბანკო სესხი ცვლადი პროცენტით ლარში	272	855
არაუზრუნველყოფილი სესხები მოკავშირე მხარეებისგან ფიქსირებული პროცენტით ლარში	39	1,399
სულ მოკლევადიანი სესხები	1,118	3,215
სულ სესხები	4,970	6,291

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების და ობლიგაციების მოძრაობას 2022 და 2021 წლის განმავლობაში:

	31.12.2022	31.12.2021
1 იანვარი	6,291	6,177
სესხის აღება	27,306	29,655
ძირის გადახდა	(27,921)	(29,078)
საპროცენტო ხარჯი	558	561
პროცენტის გადახდა	(551)	(553)
გადაფასება	(713)	(471)
31 დეკემბერი	4,970	6,291

კომპანიის ყველა სესხი აღებულია ლარში და ევროში. ბანკებისაგან აღებულ ქართულ ლარში დენომინირებულ ცვლებად სესხებს აქვთ გადასახდელი წლიური პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისათვის და შეადგენს 10.5% და 10%) დამატებული 3.5% – 4%, რომელიც 2022 და 2021 წლებში საშუალოდ შეადგენდა წლიურად 14.5% – 14%-ს. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი სახით გაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთი არ შეიძლება, იყოს 5%-ზე ნაკლები და 18%-ზე მეტი. დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის ფიქსირებული პროცენტის ოდენობა 2022 და 2021 წლებში მერყეობდა 12.5%–14%-ის შუალედში. ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ საშუალოდ წლიური 6%–7.5% მცოცავი განაკვეთი მიბმული Euribor-ზე.

სესხები ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის, დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამსესხებელს წარმოეჩნება უფლება და არა ვალდებულება, მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე.

ბანკის სესხის ხელშეკრულების მიხედვით კომპანიას ნაკისრი აქვს ვალდებულება, დაიცვას გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც გაიანგარიშება სპეციფიკური პრინციპით (ფასს-იდან განსხვავებული პრინციპით დაანგარიშებული მონაცემები) დაგენერირებული მონაცემებით სს ნიკორა ჯგუფის კონსოლიდირებულ და ნაწილობრივ კონსოლიდაციის დონეზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით ბანკის გაანგარიშებით გადახვევა არ დაფიქსირებულა.

სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სასაქონლო მარაგებით, სავაჭრო მოთხოვნებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

11. ამონაგები

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
ამონაგები 2022 წელი			
საქონლისა და მომსახურების სახეები	64,717	32	64,749
საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	44,808	-	44,808
ნაყიდი და გაყიდული პროდუქტი	19,909	-	19,909
მომსახურების გაწევა	-	32	32
ხელშერკულების ხანგრძლივობა	64,717	32	64,749
მოკლევადიანი	64,717	32	64,749
საქონლის გადაცემისა და მომსახურების გაწევის ვადები	64,717	32	64,749
დროის გარკვეულ მომენტში	64,717	32	64,749
სულ ამონაგები	64,717	32	64,749

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	მომსახურების გაწევა საქართველო	სულ
ამონაგები 2021 წელი			
საქონლისა და მომსახურების სახეები	55,868	17	55,885
საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	40,746	-	40,746
ნაყიდი და გაყიდული პროდუქტი	15,122	-	15,122
მომსახურების გაწევა	-	17	17
ხელშერკულების ხანგრძლივობა	55,868	17	55,885
მოკლევადიანი	55,868	17	55,885
საქონლის გადაცემისა და მომსახურების გაწევის ვადები	55,868	17	55,885
დროის გარკვეულ მომენტში	55,868	17	55,885
სულ ამონაგები	55,868	17	55,885

შპს “კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	(32,094)	(31,532)
ნაყიდი და გაყიდული პროდუქტი	(17,869)	(13,369)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(49,963)	(44,901)

საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ნედლეულისა და მასალების ხარჯი	(27,054)	(26,826)
თანამშრომელთა კომპენსაციის ხარჯი	(2,781)	(2,187)
კომუნალური ხარჯები	(1,200)	(1,256)
ცვეთის ხარჯი	(507)	(706)
სხვა	(552)	(557)
სულ საკუთარი წარმოების გაყიდული პროდუქტები	(32,094)	(31,532)

13. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
თანამშრომელთა ხელფასი	(3,175)	(2,772)
საწვავი და სხვა გადაზიდვის ხარჯი	(889)	(634)
სასაქონლო ნიშნის გამოყენების საფასური	(600)	(600)
ავტო ტრანსპორტის რემონტი	(212)	(177)
იჯარა	(45)	(49)
რეკლამა და გაყიდვების წახალისების ხარჯები	(40)	(40)
სხვა	(184)	(135)
სულ გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(5,145)	(4,407)

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
თანამშრომელთა ხელფასი	(902)	(760)
ვადაგასული მარაგების ჩამოწერის ხარჯი	(826)	(831)
ცვეთა და ამორტიზაცია	(385)	(543)
საგადასახადო ხარჯი	(215)	(177)
საოფისე ხარჯები	(171)	(132)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(103)	(103)
რემონტის ხარჯები	(45)	(55)
სხვა	(68)	(86)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,715)	(2,687)

15. ფინანსური ხარჯი

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	(368)	(383)
საპროცენტო ხარჯები სესხებზე დაკავშირებული მხარეებისგან	(190)	(178)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე	(15)	(16)
სულ ფინანსური ხარჯი	(573)	(577)

16. სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)

	2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
კოვიდი და სხვა სუბსიდია	-	530
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	40	42
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(29)	(24)
სხვა ხარჯი ნეტო	(99)	(78)
სულ სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	(88)	470

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6,811	4,513
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,049	290
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	7,860	4,803

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

შპს “კორიდა”

**2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწეხებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტების სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. სავაჭრო დებიტორების მოსალოდნელი ზარალი შეფასებულია ცალკეულ შემთხვევებში ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ერთგვაროვანი ნიშნით გაერთიანებული კონტრაგენტების ჯგუფების მიხედვით. შეფასება ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს. დებიტორების გვარობიდან გამომდინარე, ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკური ტენდენციებით, რომლებიც, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს ზოგადად, დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექვო ვალების რეზერვი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

2022 წლის 31 დეკემბრისათვის	შიდაჯგუ ფური და სხვა ვადიანი მოთხოვნა - 30 დღემდე ვადაგადა- ცილება	30-60 დღე ვადაგადა- ცილება	60-90 დღე ვადაგადა- ცილება	90-180 დღე ვადაგადა- ცილება	180 დღიდან 1 წლამდე ვადაგადა- ცილება	1 წელზე მეტი ვადაგადა- ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6,660	72	79	33	8	9	6,861
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,085	-	-	-	-	-	1,085
სულ ფინანსური აქტივები	7,745	72	79	33	8	9	7,946
საექვო ვალების რეზერვი - დებიტორი	(8)	(2)	(4)	(20)	(6)	(9)	(49)
ნეტო ფინანსური აქტივები	7,737	70	75	13	2	-	7,897

2021 წლის 31 დეკემბრისათვის	შიდაჯგუ ფური და სხვა ვადიანი მოთხოვნა - 30 დღემდე ვადაგადა- ცილება	30-60 დღე ვადაგადა- ცილება	60-90 დღე ვადაგადა- ცილება	90-180 დღე ვადაგადა- ცილება	180 დღიდან 1 წლამდე ვადაგადა- ცილება	1 წელზე მეტი ვადაგადა- ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	4,372	100	34	7	32	2	4,547
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	294	-	-	-	-	-	294
სულ ფინანსური აქტივები	4,666	100	34	7	32	2	4,841
საექვო ვალების რეზერვი - დებიტორი	(1)	(4)	(1)	(2)	(24)	(2)	(34)
ნეტო ფინანსური აქტივები	4,665	96	33	5	8	-	4,807

შპს “კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავაჭრო დებიტორები ჩამიწერება ბალანსიდან შესაბამის რეზერვის შემცირების გზით, როდესაც არ არსებობს ადეკვატური მოლოდინი იმისა რომ მოხდება შესაბამისი თანხების ამოღება. სხვა ფაქტებთან ერთად ამ ფაქტის ერთ-ერთი ინდიკატორებია 180 დღიანი ვადაგადაცილება და დამატებითი გრაფიკის პირობების დარღვევა.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	დოლარი ლარში	ევრო ლარში	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	614	614
საიჯარო ვალდებულებები	238	-	238
სესხები	-	3,159	3,159
სულ ფინანსური ვალდებულებები	238	3,773	4,011
წმინდა პოზიცია	(238)	(3,773)	(4,011)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ევრო ლარში	სულ
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	4,037	4,037
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,037	4,037
წმინდა პოზიცია	(4,037)	(4,037)

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგებისა და ზარალის და საკუთარი კაპიტალის სენსიტიურობა სავალუტო განაკვეთებში გონივრულად შესაძლო ცვლილების მიმართ, რომელიც გამოიყენება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს კომპანიის შესაბამისი საწარმოს ფუნქციონალური ვალუტის მიმართ. ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31 დეკემბერი 2022 წ.		31 დეკემბერი 2021 წ.	
	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა, საკუთარ კაპიტალზე	ზეგავლენა, მოგება (ზარალზე)	ზეგავლენა საკუთარ კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(48)	-	-	-
აშშ დოლარის დასუსტება 20%-ით	48	-	-	-
ევროს გამყარება 20%-ით	(755)	-	(807)	-
ევროს დასუსტება 20%-ით	755	-	807	-

ამ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება გაანგარიშებულ იქნა მხოლოდ ფულადი ნაშთებისათვის იმ ვალუტებში, რომლებიც კომპანიის შესაბამისი საწარმოს ვალუტას არ წარმოადგენს.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიას მიღებული აქვს როგორც ცვალებადი (გარკვეული ლიმიტების

შპს “კორიდა”

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფარგებში) ასევე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი სესხები. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. აღებული სესხების დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია იყენებს სახელმწიფო სუბსიდირებას რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამოწურვამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს, რის გამოც ისინი შესაძლოა არ ედრებოდეს საბალანსო უწყისში ასახულ თანხებს:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა					
კრედიტორული დავალიანება	1,870	-	-	-	1,870
საიჯარო ვალდებულება	52	52	286	-	390
სესხები	917	628	4,278	332	6,155
სულ მომავალში გადასახდელები	2,839	680	4,564	332	8,415

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა					
კრედიტორული დავალიანება	1,410	-	-	-	1,410
საიჯარო ვალდებულება	23	23	109	-	155
სესხები	1,650	1,947	3,269	199	7,065
სულ მომავალში გადასახდელები	3,083	1,970	3,378	199	8,630

ცხრილში ასახული თანხები გახლავთ სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი სახსრები. შედეგად, ეს თანხები არ შეუჯერდება ბალანსზე ასახულ თანხებთან, გარდა მოკლევადიანი გადასახდელებისა, სადაც დისკონტირება არ გამოიყენება. კომპანია ელის, რომ შეასრულებს საოპერაციო ფულადი ნაკადებიდან გამოწვეულ ვალდებულებებს.

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია, უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, შემცირდეს

კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ, შესაძლოა, მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია ექვემდებარება აღებულ სესხების ხელშეკრულებების მიხედვით კაპიტალისა და სხვა ფინანსური ელემენტების ზღრული კოეფიციენტების სახით დაწესებულ გარე მოთხოვნებს. ამ მოთხოვნების დეტალების და მათი დარღვევის დეტალები მოცემულია ახსნა განმარტებით შენიშვნა 10.

18. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

19. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები); რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები/ვალდებულებები

აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	6,811
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,049
სულ ფინანსური აქტივები	7,860
ვალდებულებები	
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,870
- საიჯარო ვალდებულებები	333
- სესხები	4,970
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,173

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების შეჯერება შეფასების ამ კატეგორიებთან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული
ფინანსური აქტივები/ვალდებულებები**

აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	4,513
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	290
სულ ფინანსური აქტივები	4,803
ვალდებულებები	
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,410
- საიჯარო ვალდებულებები	127
- სესხები	6,291
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,828

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები და ნაშთები სს „ნიკორა“ ჯგუფში შემავალ კომპანიებთან:		
ნაშთები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,719	1,089
მიღებული სესხები	(1,399)	(1,399)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(170)	(186)
ოპერაციები:		
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	34,810	29,900
მომსახურების გაწევა	32	17
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	25,014	23,858
ძირითადი საშუალებების შეძენა	19	4
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	12	-
მომსახურების მიღება	653	653
დივიდენდის გადახდა	1,631	2,355
კონტრიბუცია საწესდებო კაპიტალში	-	650
პროცენტის გადახდა	190	173
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	190	178

გაცემულია დივიდენდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში.
დირექტორების ანაზღაურება:

	2022 წელი		2021 წელი	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
შრომის ანაზღაურება:				
- ხელფასები	261	73	310	34

21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, ჯგუფის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა რომ, გარდა ანარიცხების ნაწილში აღიარებული სასამართლო საქმეებთან დაკავშირებულ ანარიცხისა, ჯგუფს მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა.

თავდებობა - კომპანია, ისევე როგორც სს ნიკორა ჯგუფში შემავალი ყველა კომპანია, წარმოადგენს სს ნიკორა ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ გარკვეული ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე სს თიბისი ბანკიდან მიმდინარე და მომავალ პერიოდში აღებული ყველა საბანკო სესხების თავდებს ანუ ნაკისრი აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობა ამ სესხებთან მიმართებაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი სესხების და საბანკო გარანტიების ჯამური ნაშთები შეადგენს 46,478 ათას ლარს (მათ შორის 36,541 ათასი ლარი არის სესხის ძირი, 9,846 ათასი ლარი - გარანტია, 91 ათასი ლარი - დარიცხული პროცენტი). ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა და ყველა ზემოთ ნახსენები კომპანია დამოუკიდებლად მოემსახურება შესაბამის სესხის თანხებს. ამ მიზეზთა გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

ზოგადად საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

დივიდენდები. 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიას გამოცხადებული და განაწილებული აქვს დივიდენდები 1,164 მილიონი ლარის ოდენობით.

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 15 აგვისტოს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება „კორიდა“



მმართველობითი ანგარიშგება
2022 წელი

მმართველობითი ანგარიში

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორიდას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2023 წლის 15 აგვისტოს.

რევაზ ნარმანია

დირექტორი
შპს „კორიდა“

შპს „კორიდა“ მმართველობითი ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მმართველობითი ანგარიში

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კორიდას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

2022 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2023 წლის 15 აგვისტოს.

რევაზ ნარმანია

დირექტორი
შპს „კორიდა“



1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კორიდა“ დაარსდა 2006 წელს და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხორცპროდუქტების წარმოება. „კომპანია“ აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით „კომპანია“ აწარმოებს 50-მდე სახეობის ხორცპროდუქტს და 23-მდე სახეობის ნახევარფაბრიკატს, ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს, როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების პროდუქტებს.

შპს „კორიდა“ წარმოადგენს სს „ნიკორა“-ს შვილობილ კომპანიას; სს „ნიკორა“ ამჟამად არის საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ჰოლდინგი (ჯგუფი), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას, აგრეთვე ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზების, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო პროდუქციისა და სასმელების იმპორტიორ კომპანიებს. შპს „კორიდა“ წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპანიას ჰოლდინგ ნიკორას შემადგენლობაში.

1.1 კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

შპს „კორიდა“ წარმოადგენს სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალ კომპანიას, რომელიც აწარმოებს ხორცპროდუქტებს „კორიდას“ და ნახევარფაბრიკატებს „მარდის“ ბრენდით. მზა პროდუქციის დღიური გამომუშავება საშუალოდ ხორცპროდუქტებში შეადგენს 23-24 ტონას, ხოლო ნახევარფაბრიკატების 1-2 ტონას.

პროდუქციის რეალიზაციას „კომპანია“ ახდენს როგორც ნიკორას ჰოლდინგში შემავალ კომპანიებზე, აგრეთვე გარე სავაჭრო ობიექტებში საკუთარი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

შპს „კორიდა“-ს მიერ „კორიდას“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია ორიენტირებულია ხორცპროდუქტების საშუალო-ფასიან სეგმენტზე.

„კომპანია“ ფლობს ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატებს.

„კომპანია“ დაარსების დღიდან ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, ორიენტირებულია პროდუქციის ასორტიმენტის ზრდისკენ და ბიზნესის განვითარებისკენ.

„კომპანიაში“ დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 392 თანამშრომელს (2021: 370 თანამშრომელი).

შპს „კორიდა“, მისი მშობელი კომპანიის - სს „ნიკორას“ და აგრეთვე ჰოლდინგში შემავალი სხვა კომპანიების განვითარებასთან ერთად, ეტაპობრივად იხვეწებოდა და უფრო მაღალ დონეზე ადიოდა, როგორც ზოგადად მართვა და ეფექტურობა, აგრეთვე წარმოების ხარისხიც. წლების განმავლობაში ხარისხის დონის, სწორი საფასო პოლიტიკის, ფართო არჩევანისა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებების შედეგად შპს „კორიდა“-ს მიერ „კორიდას“ ბრენდით წარმოებული პროდუქცია მაღალი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებში და თავად ბრენდი „კორიდაც“ იქცა ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სავაჭრო ნიშნად.

„კომპანიის“ პროდუქცია შემდეგი სავაჭრო ნიშნებით (ბრენდებით) იწარმოება:



წარმოების ძირითადი წილი კორიდას ბრენდით წარმოებულ ხორცპროდუქტებზე მოდის, მათ შორის: ნახევრად-შებოლილი და მოხარშული ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.

ნახევარფაბრიკატები: ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციულ კერძები (ხინკალი, პელმენი, ბლინი, და სხვა პროდუქცია).

შპს „კორიდა“-სთვის ხორცპროდუქტების წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს, რომლითაც ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უკავია. ასევე ვაწარმოებთ ნახევარფაბრიკატებს და ვცდილობთ მნიშვნელოვანი წილი დავიკავოთ ადგილობრივ ბაზარზე.

1.2 ბიზნესი და ოპერაციები

შპს „კორიდა“-ს პროდუქციის ბაზარს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორია, საქართველოს ბაზარზე პროდუქციის მიწოდება ნაწილობრივ ხორციელდება სს „ნიკორას“ შვილობილი კომპანიების მეშვეობით: სს „ნიკორა ტრეიდი“ ახდენს პროდუქციის რეალიზაციას ნიკორას საფირმო მაღაზიებში, ხოლო შპს პარტნიორი გარე და შიდა ქსელში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, „კორიდა“-ს პროდუქციის მიწოდება ხორციელდება მისივე საკუთარი სადისტრიბუციო ავტომობილებით.

წედლეულის შეძენას „კომპანია“ ახდენს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ბაზარზე. მომწოდებლები არიან როგორც ადგილობრივი ქართული, ასევე საერთაშორისო კომპანიები.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს, რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა მიღწეულ იქნას საუკეთესო საბაზრო ფასი.

ადგილობრივი პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

2. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში „კომპანია“ გეგმავს ასორტიმენტის გაფართოებას, ახალი პროდუქტების დამატებას, როგორც ხორცპროდუქტების ასევე ნახევარფაბრიკატების მიმართულებით, ასევე „ნიკორა ტრეიდის“ მიერ საფირმო მაღაზიების გაფართოების შედეგად, იზრდება წარმოებული პროდუქციაზე მოთხოვნა, შესაბამისად „კომპანია“ გეგმავს წარმოების გაფართოებას, რათა უზრუნველყოს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

3. ჩატარებული კვლევები

კომპანია ყოველწლიურად ატარებს ბაზარზე არსებული მდგომარეობის მარკეტინგულ კვლევას, რასაც ძირითადად ორი მიმართულება აქვს:

- ხდება კონკურენტების ფასების კვლევა, საკუთარ პროდუქციასთან შედარება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებების შეტანა სარეალიზაციო ფასებში;
- კომპანია სისტემატურად იკვლევს არსებული ბაზრის პროდუქტით გაჯერებულობის ხარისხს - ხდება „დეფიციტური“ პროდუქციის გამოვლენა და ამის საფუძველზე ბაზრისთვის შეთავაზებული პროდუქციის ასორტიმენტის ზრდა.

შპს „კორიდა“ ყოველწლიურად აბარებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშს.

4. ფინანსური ინფორმაცია

შპს „კორიდა“-მ 2017 წელს პირველად წარადგინა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული მისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 2022 წლის ანგარიშგება აუდირებულია შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯიას“ მიერ.

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე და კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჰქირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

5. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ფინანსური რისკების და კაპიტალის მართვის პოლიტიკა მოცემულია ფინანსურ ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნა 17.